დანართი N2

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

ვაკანტური პოზიციის დასახელება: იურისტი

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი

შრომის ანაზღაურება: 1700 ლარი

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. N41

სამუშაო ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები:

- ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების პროექტების მომზადება
- ელექტრონული აუქციონის გამოცხადების ორგანიზება და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადება
- მაუწყებლის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.
- კომპეტენციის ფარგლებში, მაუწყებლის დირექტორის, კურატორი მოადგილისა და სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება.
- სასამართლო წარმომადგენლობა

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) სამუშაო გამოცდილება - აუცილებელია იურისტად მუშაობის არანაკლებ ერთ წლიანი გამოცდილება (სამუშაო გამოცდილებაში ჩაითვლება იურიდიული მიმართულებით სტაჟირების გავლაც)

გ) საოფისე პროგრამების, კერძოდ Microsoft Office Word , Microsoft Office Excel , Microsoft Office PowerPoint- ძალიან კარგი ცოდნა;

დ) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი - საერთო ან/და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით (არასავალდებულო მოთხოვნა, სერტიფიკატის ქონა ჩაითვლება უპირატესად).

კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი უნარ - ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

- დროის ეფექტური მართვის უნარი;

- ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი;

- გუნდური მუშაობის უნარი.

საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსი" ;

დ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსი";

ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

თ) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულება.

დამატებითი ინფორმაცია:

კონკურსის მსურველმა დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, განსაზღვრულ ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე (hr@ajaratv.ge) უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- მოთხოვნილი განათლების ან/და სასწავლებელში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამოტივაციო წერილი;
- რეზიუმე (CV);

დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის ((hr@ajaratv.ge) სათაურის ველში (subject) უნდა მიუთითოს იმ სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის და პოზიცი(ებ)ის დასახელება, სადაც სურს მონაწილეობის მიღება;

კონკურსის ეტაპები:

- განცხადების გადარჩევა

- გასაუბრება;

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა: განაცხადებს განიხილავს სპეციალური კომისია, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით ჯამური შეფასების ქულათა სისტემით. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებს მიიღებს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

განცხადების წარდგენის ვადა: 2023 წლის 22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41
საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე მობ: 577 23 26 07
საკონტაქტო ელ-ფოსტა: hr@ajaratv.ge